

## ეპილოგი

მისტერ გულიბლმა, რომელიც ჩემზე უფროსი და ბრძენი იყო, გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი რამ გამიზიარა, ვიდრე უბრალო თავგადასავლის ისტორია. თვეების განმავლობაში ჩვენი საუბრების შედეგად მე მისი ცხოვრებისეული ფილოსოფიის თანაზიარი გაეხდი. ამ ფილოსოფიით მან დიდი ხანი ნაყოფიერად იღვაწა თავის სამშობლოში. თუმცა, ეს სულ სხვა ისტორიაა. დასასრულ, მინდა შემოგთავაზოთ სიტყვები მისი დღიურის დასკვნითი ნაწილიდან.

*ჩემი ფილოსოფია პირადი თავისუფლების პრინციპს ეფუძნება. შენი სიცოცხლე შენვე გეკუთვნის. ამის უარყოფა იგივეა, რაც იმის აღიარება, რომ სხვას შენზე მეტი უფლება აქვს მასზე. შენი ცხოვრება არც ცალკეულ ადამიანს და არც ადამიანთა ჯგუფს ეკუთვნის და არც შენ გეკუთვნის სხვისი ცხოვრება.*

*შენ არსებობ დროში: მომავალში, აწმყოსა და წარსულში. ეს გამოიხატება შენს ცხოვრებაში, თავისუფლებაში და მათ შედეგებში. ცხოვრებასა და თავისუფლებაში არჩევანის გაკეთების უფლება შენი წარმატების საწინდარია. ცხოვრების ხელიდან გაშვება მომავლის დაკარგვის ტოლფასია. თავისუფლების დაკარგვა – აწმყოს დაკარგვაა. ცხოვრებისა და თავისუფლების ნაყოფის დაკარგვა კი იგივეა, რაც იმ წარსულის დიდი ნაწილის ხელიდან გაშვება, რომელმაც წარმოქმნა ის.*

*შენი ცხოვრებისა და თავისუფლების შედეგი შენი საკუთრებაა. ის არის შრომის, დროის, ენერჯიისა და ნიჭის ნაყოფი, ბუნების ის ნაწილი, რომელიც შენ ფასეულად და გამოსადეგად აქციე. ამავე დროს, ეს არის სხვების საკუთრება, რომელიც ნებაყოფლობითი გაცვლისა და ერთხლოვანი თანხმობის შედეგად მიიღე. ორი ადამიანი, რომელიც ნებაყოფლობით ცვლის საკუთრებას, გარკვეულ მოგებას ხედავს ამაში, წინააღმდეგ შემთხვევაში, არც ერთი მათგანი არ დათანხმდებოდა ამას. მხოლოდ თავად შეუძლიათ მიიღონ მათთვის სწორი გადაწყვეტილება.*

*ზოგიერთი ადამიანი სხვების საკუთრებას მათი შეგნებული, ნებაყოფლობითი თანხმობის გარეშე, ძალითა და თაღლითობით იღებს ხელში. როგორც წესი, სიცოცხლის წართმევის მიზნით ძალის გამოყენება მკვლელობაა, თავისუფლების წართმევა მონობა, ხოლო საკუთრების – ქურდობა. ეს ჭეშმარიტებაა, მიუხედავად იმისა, თუ ვის მიერ არის ჩადენილი ქმედება – ერთი ადამიანის, ადამიანთა ჯგუფის თუ სახელმწიფო მოხელეების მიერ.*

*სრული უფლება გაქვს სხვების ძალადობრივი აგრესიისგან დაიცვა საკუთარი სიცოცხლე, თავისუფლება და კანონიერად მოპოვებული ქონება ან ვინმეს მიმართო თავის დასაცავად. მაგრამ არ გაქვს უფლება, გამოიყენო ძალა სხვების სიცოცხლის, თავისუფლების ან საკუთრების წინააღმდეგ ან ვინმე წააქეზო, გამოიყენოს ძალა შენი სახელით.*

*ადამიანს აქვს უფლება აირჩიოს ხელისუფალნი, მაგრამ უფლება არ აქვს თავს მოახვიოს სხვებს საკუთარი ხელვა. მიუხედავად იმისა, თუ როგორ მოხდა სახელმწიფო მოხელის არჩევა, ის უბრალო ადამიანია და არ შეიძლება სხვაზე მეტი უფლება და პრეტენზია ჰქონდეს. მიუხედავად იმისა, რა სახელს დავარქმევთ მათ ქმედებას ან რამდენი ადამიანი დაუჭერს მათ მხარს, თანამდებობის პირებს არ აქვთ უფლება ჩაიდინონ მკვლელობა, მისაკუთრონ ქონება ან დაიმონონ სხვა. შენ ვერ მიანიჭებ მათ ისეთ უფლებამოსილებას, რაც თავად არ გაგაჩნია.*

*ვინაიდან სიცოცხლე შენ გეკუთვნის, მასზე პასუხისმგებელიც შენ ხარ. სიცოცხლეს არ ქირაობ იმისგან, ვინც შენს მორჩილებას მოითხოვს და არც იმათი მონა ხარ, ვინც შენგან მსხვერპლის გაღებას ელის. ცხოვრებაში მიზნებს, შენი ღირებულებებიდან გამომდინარე, თავად ისახავ. წარმატება და მარცხი ორივე აუცილებელი კომპონენტია პირის შემეცნებისა და ზრდისთვის. სხვისი სახელით შენი ქმედება, ისევე, როგორც სხვების ქმედება შენი სახელით, სასიკეთოა მხოლოდ*

მაშინ, როცა ის ნებაყოფლობითი ურთიერთთანხმობის საფუძველზე ხდება. სიკეთე და სათნოება მხოლოდ თავისუფალი არჩევანის პირობებში იარსებებს.

ჰეშმარიტად თავისუფალი საზოგადოების საფუძველი სწორედ ეს არის. ეს არა მხოლოდ პრაქტიკული და ჰუმანური საფუძველია, არამედ ეთიკურიც. არსებობს ყველა იმ პრობლემის გადაჭრის გზა, რომელიც წარმოიქმნა ხელისუფლების მხრიდან ძალის გამოყენების გამო. ამისთვის, ხალხმა მთელ მსოფლიოში უნდა აღკვეთოს ხელისუფლების მიერ მისი სახელით ძალის გამოყენება. ბოროტებას არა მარტო ბოროტები ქმნიან, არამედ ის, თუნდაც კეთილი ადამიანები, ვინც პირადი ინტერესების გამო ძალადობაზე ხუჭავს თვალს. ამგვარად, კაცობრიობის არსებობის მთელი ისტორიის განმავლობაში კეთილი ადამიანებიც ამგვარი ქმედებით აძლიერებდნენ ბოროტებას.

ჰეშმარიტად თავისუფალი საზოგადოება გულისხმობს ახალი ღირებულებების ძიებას და არა თავსმოხვეული ხედვისა და მიზნების ბრმად გაზიარებას. სახელისუფლებო ძალის გამოყენებით სხვებისთვის საკუთარი პრინციპების თავს მოხვევა გონებრივი სიზარმაცეა, რასაც, როგორც წესი, გაუთვალისწინებელი და სავალალო შედეგები მოჰყვება ხოლმე.

თავისუფალი საზოგადოების ჩამოყალიბება მოითხოვს ადამიანისგან გამბედაობას, ილაპარაკოს, იფიქროს და იმოქმედოს. რა თქმა უნდა, ეს გაცილებით უფრო რთულია ვიდრე უმოქმედობა.

ჯონათან გულიბლი